

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომის

ოქმი N2

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

10 მაისი, 2022 წელი

14:00 საათი

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე - გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 19 წევრი:
გიორგი ივანიაძე, ნათია ძოძუაშვილი, სალომე ფახურიძე, ეთერი ჭიჭინაძე, თამარ შენგელია, დავით ხარბეიშვილი, გიორგი ტყემელაშვილი, თეონა ადეიშვილი, ბესიკი გველესიანი, მარინა ღვინინაძე, ლანა გოგობე, გელა ჩიკვაძე, მამუკა ნამიჭეიშვილი, მიხეილ სვანაძე, ივანე მამფორია, ნატული დვალიშვილი, გვანცა სიგუა, თამაზი თავაძე, ნანა ლილუაშვილი,

/დანართი: N1/

საპატიო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდნენ: გოჩა ჭუბაბრია, გურანდა გვანცელაძე, ლელა ჩიკვაძე, ნატო დვალი.

სხდომას უძღვებოდა ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე-გიორგი ივანიაძე. მან სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს დღის წესრიგი გააცნო.

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის 2022-2024 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგიის გაცნობის შესახებ;

მომხს: გიორგი ივანიაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;

მომხს: გიორგი ივანიაძე

3. ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სამუშაო ჯგუფის შექმნისა და შემადგენლობის გაცნობის შესახებ;

მომხს: სალომე ფახურიძე

დაადგინეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ საბჭოს წევრებს ვანის მუნიციპალიტეტის 2022-2024 წლების საშუალოვადიანი გენდერული თანასწორობის სტრატეგიის პროექტი გააცნო.

მომხსენებელმა განმარტა, რომ „სტრატეგიის პროექტი მოიცავს ვანის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგიის მიზნებს, პრინციპებს და სამართლებრივ საფუძვლებს.

სტრატეგიის ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტებია: ვანის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ სტრუქტურებში გენდერული თანასწორობის სამართლებრივ-ორგანიზაციული უზრუნველყოფა, რომელიც თავის თავში მოიცავს:

ა) გენდერული თანასწორობის მუნიციპალური სამოქმედო გეგმას;

ბ) ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის მდგრადი ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერებას;

გ) მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგისა და ანგარიშგების სისტემის უზრუნველყოფას;

დ) გენდერულ საკითხებზე მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებას;

ე) მუნიციპალიტეტში გენდერული სტატისტიკის დანერგვას;

ვ) გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მეწარმე სუბიექტებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან თანამშრომლობის გაძლიერებას;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, მუნიციპალურ პროგრამების და პროექტების დაგეგმვის დროს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფა მოიცავს:

ა) გენდერულ ბიუჯეტს;

ბ) გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დასაქმების ხელშემწყობი პროგრამების და ღონისძიებების შემუშავებას;

გ) გენდერული თანასწორობის მისაღწევად საჭირო ღონისძიებების შესაბამისი საბიუჯეტო უზრუნველყოფას;

დ) კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალურ პროგრამებში მოქალაქეთა გენდერულად დაბალანსებული ჩართულობის, განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობისა და გენდერულად ორიენტირებული სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის პოლიტიკის უზრუნველყოფას;

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სფეროებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას.

გენდერული თანასწორობის პრინციპების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცნობიერების გაზრდას, ამ მიმართულების პრიორიტეტებია:

ა) მოსახლეობის ინფორმირებულობა ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობაზე, მის ფორმებზე და სახელმწიფოში არსებულ ეროვნულ რეფერალურ მექანიზმებზე;

ბ) ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციული ღონისძიებები;

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას, თავის კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციასა და შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო, რომელიც საბჭოს სხდომაზე პერიოდულად განიხილავს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა შესრულების მიმდინარეობას და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს.

სტრატეგიის პროექტის წარმოდგენის შემდეგ მომხსენებელმა თხოვნით მიმართა საბჭოს წევრებს, რათა წარმოედგინათ მოსაზრებები, შენიშვნები და წინადადებები აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, რათა საბოლოო ვერსია დამტკიცდეს საკრებულოს სხდომაზე, რასაც ერთობლივად დაეთანხმა საბჭო.

/დანართი: N2/

2. დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გენდერული საბჭოს თავმჯდომარემ-გიორგი ივანიაძემ აგრეთვე ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ პრიორიტეტებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა, საბჭოს წევრების კოორდინირებულ მუშაობას და ეფექტური კომუნიკაციის მექანიზმის დანერგვას გაუსვა ხაზი.

მომხსენებელმა აგრეთვე 2 ივნისს ვანელობის სახალხო დღესასწაულთან დაკავშირებით დასაგეგმ ღონისძიებაზეც ისაუბრა, „გენდერული საბჭოს ეგიდით ჩვენ შეგვიძლია სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ქალბატონები გამოვავლინოთ და სიმბოლურად მივულოცოთ ვანელობა, ღონისძიების ფორმატთან დაკავშირებით კი საბჭოს რამდენიმე წევრის შემადგენლობით შევქმნათ სამუშაო ჯგუფი, რომელსაც უხელმძღვანელებს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ქალბატონი-ნატული დვალიშვილი და რომელსაც დაევალება ღონისძიების ორგანიზება და განხორციელების პროცესში საბჭოს აქტიური ჩართულობა, რასაც ერთხმად დაეთანხმა გენდერული საბჭო.

3. დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანმა-სალომე ფახურიძემ ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს მუშაობის ეფექტურობის გაზრდის მიმართულებით გენდერული საბჭოს სამუშაო ჯგუფის როლზე, შექმნის აუცილებლობაზე, მნიშვნელობაზე ისაუბრა, აღნიშნა, რომ „საბჭოს სამუშაო ჯგუფი, რომელიც საბჭოს რამდენიმე წევრისგან დაკომპლექტდება წინასწარ მოამზადებს საკითხებს საბჭოს სხდომაზე გასატანად, ასევე დაგეგმავს აქტივობებს, ღონისძიებებს და უზრუნველყოფს საბჭოს ჩართულობას მუნიციპალიტეტის მასშტაბით გენდერული კუთხით არსებული გამოწვევების დასაძლევად, რაც კიდევ უფრო ეფექტურს და შედეგზე

ორიენტირებულს გახდის გენდერული საბჭოს მუშაობას, სამუშაო ჯგუფს უხელმძღვანელებს ასევე უმრავლესობით შერჩეული პირი“ მან საბჭოს წევრებს მიმართა თხოვნით სამუშაო ჯგუფის დაკომპლექტების მიზნით სამუშაო ჯგუფის წევრების და კანდიდატურების შერჩევის თაობაზე.

გენდერული საბჭოს წევრებმა დაასახელეს სამუშაო ჯგუფის წევრების შემდეგი კანდიდატურები:

1. ნათული დვალიშვილი-გენდერული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;
2. სალომე ფახურიძე-გენდერული საბჭოს მდივანი;
3. მიხეილ სვანაძე-გენდერული საბჭოს წევრი;
4. დავით ხარძეიშვილი-გენდერული საბჭოს წევრი;
5. თამაზი თავაძე-გენდერული საბჭოს წევრი;
6. ეთერი ჭიჭინაძე-გენდერული საბჭოს წევრი;
7. თამარი შენგელია-გენდერული საბჭოს წევრი;
8. ნათია ძოდუაშვილი-გენდერული საბჭოს წევრი;
9. ივანე მამფორია-გენდერული საბჭოს წევრი;
10. ბესიკი გველესიანი-გენდერული საბჭოს წევრი;

დღის წესრიგის მესამე საკითხს უყარეს კენჭი.

მომხრე - 19

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს: საბჭომ ერთხმად დაამტკიცა გენდერული საბჭოს სამუშაო ჯგუფი 10 წევრის შემადგენლობით.

საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ-გიორგი ივანიამემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის მდივანი

სალომე ფახურიძე

10.05.2022 წ.